

**Megrelce ve Lazca'da Zanaat ve Meslek Adlarının Türetilmesinde  
Eşlik Eden Morfofonolojik Değişiklikler**

**მორფოფონოლოგიური პროცესები ხელობის (პროფესიის)**

**სახელთა წარმოებისას მეგრულსა და ლაზურში**

**Doç. Dr. Asmat ŞONİA\***

**ასოც. პროფ. ასმათ შონია\*\***

**Özet**

Dizimsel olarak iki veya daha fazla bileşenli sesli harflerin yan yana bulunması Gürcü dilleri için geçerli bir özellik değildir. Morfemlerin bir araya gelmesinin zorunlu olduğu yerlerde sesli harf bileşimleri oluşturulurken geçerliliğini hâlâ koruyan ortak bir eğilimler vardır: İkili seslendirme, sesli harflerin birleşmesi, önceki veya sonraki sesli harfin düşmesi ve sesli harfler arasında bir ünsüzün gelmesiyle ünsüz bileşimleri tek sesli harf haline gelmesi. Morfolojik sistem açısından bakıldığında, bu engellerin üstesinden gelinmesi çeşitli yollarla mümkündür, teorik olarak iki sesli harfin beş olasılığı vardır; Bir kelime içinde birbirinden kaçınmak (fonemiğin morfolojiye etkisi), bir dil morfolojik değişiklikler için bu kadar geniş olanaklara sahipken, hangi yolu seçeceği tahmin edilemez.

Dil literatüründe მე-ე, მე-ურ (me-e, me-ur) üretimine sahip isim grubuna “Zanaat” ve “Meslek” adı verilmekle birlikte, bu üretim kelimesi grubunda yer alan isimlerin tamamı zanaat ve meslek anlamına gelmemektedir. მე-ე ekleri şu veya bu alanda uzmandır, ancak bu isimlerin temel özelliği, her birinin uzmanı olduğu bu konuyla ilgilenen bir kişiyi ifade etmesidir. Bu kelimenin kökeni olan „ხელობა” // “zanaat” burada olası anlamlarından yalnızca bir tanesidir. Yukarıda da açıklandığı üzere bazen içinde მე-ე ekleri olan bir kelime - მენაბრე, მემკვიდრე, მეოცნებე... mevduat sahibi, mirasçı, hayalperest- herhangi bir mesleği ifade etmez... Sulkhan-Saba Orbeliani de bu zorluğun farkına varır ve „მეეჯუნე”,

\* Shota Meskhia Devlet Üniversitesi, Zugdidi / GÜRCİSTAN.

\*\* შოთა მესხიას სახ. სასწავლო უნივერსიტეტი, ზუგდიდი / საქართველო.

## TÜRK-GÜRCÜ KÜLTÜREL İLİŞKİLERİ

„მეშფოთე“, „მემაშვრალე“ “meecuene”, “mešpote”, “memašvrале” biçimlerini „მოქმედების“ // Eylem ifadesiyle belirtir.

Bu çeşitlilik kelimelerin tanımlarında bile fark edilmektedir. მე-ე üretken adı şu şekilde yorumlanır: 1. Kök ile isimlendirilen nesnenin koruyucusu ve sahibi: მე-ველ-ე // Me-vel-e (ekili tarlanın ve bahçenin koruyucusu), მე-თავლ-ე // Me-tavl-e (ahırın sahibi); 2. Bir şeyi yapma konusunda yetenekli kişi, uzman: მე-სელ-ე // Me-sel-e (keten uzmanı, keteni eken ve yetiştiren), მე-საქონლ-ე (sığır yetiştiriciliğini takip eden), მე-თამბაქო-ე // Me-tambako-e (tütün yetiştiricisi). 3. Müzik aleti çalan kişi: მე-საყვირ-ე, მე-დუღუკ-ე, მე-ჩონგურ-ე, მე-სტვირ-ე... **düdükcü, kavalcı**, ... 4. Nakliye araçlarının sürücüsü: მე-ეტლ-ე, მე-ელმაგალ-ე, მე-ბორნ-ე, მე-კატარლ-ე **Arabacı, sürücü, kayıkçı** ... 5. Her türlü sporun takipçisi: მე-თხილამურ-ე (kayak sporunu takip eden).

Zanaat isimleri çoğunlukla adlardan türetilir: მე-ჯოგ-ე, მე-ბრძმედ-ე... **at çobanı, fırın ustası**... bazen de istisna olarak sıfatlar, zarflar ve isim-fiillerden türetilir.

მე-ურ (მე-ულ) // Me-ur (Me-ul) meslek isim grubu azdır. მე-ურ // Me-ur yalnızca Gürcü kökenli tek heceli köklere gelir.

მო-ე // Mo-e eklerinin zanaat adlarına eklenen bir yapım eki olarak anlaşılması daha sonraki bir gelişmedir. მო-ე , მე-ე ekleri bazen aynı köke eklenir ve benzer içeriğe sahip adlar üretir. მონადერბე || მეანდერბე, **vasiyetçi**, მომთვრალე || მემთვრალე, **sarhoş**, მოსაკუთრე || მესაკუთრე, **sahiplenici** || **Sahip**...

Megrelce ve Lazca'da zanaat adları მე-ე, მო-ე, მე-ურ, მე-ოლ, მა - ე, მა - ერ, მა-ურ: me-e, mo-e, me-ur, me-ol, ma-e, ma-er, ma-ur ekleriyle üretilir; ancak yabancı dildeki terimler, çoğunlukla Türkçe, Lazcada da tespit edilmiştir. (მაგ. დემირჩი „მჭედელი“, კალაიჯი „მკალავი“, დერემენჯი „მეწისქვილე“); (örneğin Demirçi “Demirci”; “Kalaici”, “Kalaycı”; “Deremenci”, “Değirmenci”).

Megrelce ve Lazcada işlenen kelime yapım modeli ile tartışılan morfo ve fonolojik değişiklikler, resmi Gürcü dilinde bize önemli bir farklılık göstermemiştir. Çoğunlukla Gürcücede yaygın olan ve aynı içeriğe sahip isimlerdir; Oluşturucu unsurlar hem içerik hem de biçim açısından ortaktır, bazen kelimelerin uyumu göz çarpıcıdır, bazen de yazılı

Gürcücenin biçimleri paylaşılr, çünkü bunlar tarihsel olarak Gürcü dillerinin temsilcilerinin ortak çabalarıyla oluşturulmuştur.

\*\*\*

### მორფოლოგიური პროცესები ხელობის (პროფესიის) სახელთა წარმოებისას მეგრულსა და ლაზურში

**ანოტაცია:** ნაშრომში ასახულია ხელობა (პროფესიის) სახელთა წარმოების დროს შექმნილ ხმოვანთა კომპლექსებში მომხდარი ცვლილებები. მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომპლექსის ცვლილება წარიმართება ამ კომპლექსის დაშლისკენ, რაც ხორციელდება სხვადასხვა გზით. ეს ტენდენცია აიხსნება ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგად.

**ამოსავალი სიტყვები:** სიტყვაწარმოება, მორფოლოგია, ფონეტიკა, ფონემატური სტრუქტურა, მეგრულ-ლაზური, ქართველური, ფონეტიკური ცვლილებები

ქართველურ ენათათვის სინტაგმატურად ორ და მეტკომპონენტიანი ხმოვანთა კომპლექსები ბუნებრივი არ არის. მორფემათა შესაყარზე შექმნილ ხმოვანთა კომპლექსებში დღემდე მოქმედებს საერთო ტენდენცია: დიფთონგიზაციით, ხმოვანთა შერწყმით, წინა ან მომდევნო ხმოვნის ჩავარდნით, ანდა ხმოვანთა შორის თანხმოვნის განვითარებით თანხმოვანთა კომპლექსები დავიდეს ცალ ხმოვანზე (უთურგაიძე 1985: 35) „მორფოლოგიურ სისტემაში კანონზომიერია ამ წინააღდეგობათა დაძლევა, რაც შესაძლებელია რამდენიმე გზით, თეორიულად ორ ხმოვანს აქვს ხუთი შესაძლებლობა ერთიმეორე აიცილონ სიტყვის ფარგლებში (ფონემატური დაწოლა მორფოლოგიაზე), ...როდესაც ენას მორფოლოგიური ცვლილებათათვის ასეთი ფართო შესაძლებლობები აქვს, არ არის პროგნოზირებადი, რომელ გზას აირჩევს ის (უთურგაიძე 2002:55-56).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მე-ე, მე-ურ მაწარმოებლიან სახელთა ჯგუფს „ხელობისა“ და „პროფესიის“ სახელებს უწოდებენ (შანიძე, 1973,135; ჩიქობავა, 1942,137), მაგრამ ამ წარმოების სიტყვათა ჯგუფში შემავალი ყველა სახელი ხელობასა და პროფესიაზე არ მიუთითებს: „მე-ე მაწარმოებლიანი სახელი მხოლოდ იმ პირს კი არ აღნიშნავს, ვინც ამა თუ იმ დარგის სპეციალისტია, არამედ იმ სახელთა ძირითადი თვისება ისაა, რომ თითოეული მათგანი, აღნიშნავს ისეთ პირს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია იმ საგანთან, რომლის სახელსაც ამ

## TÜRK-GÜRCÜ KÜLTÜREL İLİŞKİLERİ

სიტყვის ფუძე წარმოადგენს, „ხელობა“ აქ მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი მნიშვნელობათაგანია (ფოჩხუა,1966,11). ზოგჯერ მე-ე მაწარმოებლიანი სიტყვა არავითარ საქმიანობას არ გამოხატავს, ასეთებია: მეანაბრე,მემკვიდრე,მეოცნებე... ეს სირთულე სულხან-საბა ორბელიანსაც შეუნიშნავს და „მეეჯუენე“, „მეშფოთე“, „მემაშვრალე“ ტიპის ფორმებს „მოქმედების“ სახელით აღნიშნავს (ფოჩხუა,1966,111).

ეს მრავალფეროვნება სიტყვათა განმარტების დროსაც საგრძნობია. მე-ე მაწარმოებლიანი სახელი განმარტებულია, როგორც: 1. ფუძით დასახელებული საგნის მცველი, მეპატრონე: მე-ველ-ე (ნათესი მინდვრისა) და ბალ-ვენახის მცველი), მე-თავლ-ე (თავლის პატრონი), მე-კუჭნავ-ე (საკუჭნაოს გამგე)... 2. რისამე კეთებაში დახელოვნებული პირი,სპეციალისტი: მე-სელ-ე(მესელოობაში დახელოვნებული პირი,სელის მთესველ-მომყვანი; მე-ბუხრ-ე, მე-ფანქრ-ე, მე-ქვევრ-ე, მე-სპილენძ-ე, მე-ტყევე-ე(ტყის საქმის მცოდნე,მეტყველების სპეციალისტი). 3. მუსიკალურ საკრავზე დამკვრელი: მე-საყვირ-ე, მე-დუდუკ-ე, მე-ჩონგურ-ე, მე-სტვირ-ე... 4. სატრასპორტო საშუალებთა გამძღოლი:მე-ეტლ-ე, მე-ელმავალ-ე, მე-ბორნ-ე, მე-კატარდ-ე(კატარდის მმართველი), მე-ურმ-ე... 5. რისამე მიმდევარი ან სპორტის რომელიმე სახეობის მიმდევარი: მე-თხილამურ-ე( ვინც სათხილამურო სპორტს მისდევს) მე-ციგურ-ე, მე-საქონლ-ე,(ვინც მესაქონლეობას მისდევს),მე-თამბაქო-ე(თამბაქოს მომყვანი) (ტუსკია,2004,103-104).

ხელობის სახელები ძირითადად არსებითი სახელისგან იწარმოება: მე-ჯოგ-ე, მე-ბრძმედ-ე... გამონაკლისის სახით კი ზედსართავისგან. ზმნისართისაგან, სახელ -ზმნისაგან.

**მე-ურ (მე-ულ)** ხელობის სახელთა ჯგუფი მცირერიცხოვანია. მე-ურ დაერთვის მხოლოდ ერთმარცვლიან ქართული წარმომავლობის ფუძეებს.

მო-ე აფიქსთა ხელობის სახელების მაწარმოებლად გააზრება უფრო გვიანდელი მოვლენაა. მო-ე და მე-ე აფიქსები ზოგჯერ ერთსა და იმავე ძირს დაერთვიან და მსგავსი შინაარსის სახელებს აწარმოებენ მოანდერძე||მეანდერძე, მოზამთრე || მეზამთრე, მოწამლე || მეწამლე, მომთვრალი || მემთვრალი, მოსაკუთრე || მესაკუთრე, მოქარავე || მექარავე.

მეგრულ-ლაზურში ხელობის სახელებს აწარმოებს შემდეგი აფიქსები: მე-ე, მო-ე, მე-ურ,მე-ოლ, მა -- ე თუმცა ლაზურში უცხოენოვანი ტერმინებიც დასტურდება, ძირი -თადად თურქული (მაგ. დემირჩი „მჭედელი“,კალაიჯი „მკალავი“, დერემენჯი „მეწისქვილე“).

მე-სოფელ-ე „მოხეტიალე“: მესოფელე ჯოლორიზუმა პატი გეძუნია „მოხეტიალე (მაწანწალა) ძაღლისოდენა პატივი ადევსო (ხ. ს. I, 89, 808).

მე-კოტუ-ე „მექოთნე“: მეკოტუე კოტოს ცუს (ცუჯის), სოურე ოკონ,თეურე მიკოდგუნსია ხეს „მექოთნე ქოთანს, სადაც მას სურს, იქ მიადგამს სახელურს“ (ხ.ს. I, 87,793).

მე-თხალ-ე „მეთხე“: მეთხალექ უწუა მეთხალეს: სი უცხონტია დო მა ურშვინუნქია „მეთხემ უთხრაო მეთხეს: შენ ტოტები ჩამოუკაფეო და მე დავუსტვენო (თხებს)“ (ხ.ს.I, 87,793).

მე-დაჩხირ-ე „მეცეცხლური“: მედაჩხირე მეზობელი ჯიმას უჯგუნია „მეცეცხლური მეზობელი ძმას სჯობიაო“ (ხ.ს.I, 87,790).

მე-ბჟალ-ე || მე-ბჟ-ე „მერბევე“: მებჟალე ჩხოუს მეტე ფურჩას ჩანა „მეწველ („მერბევე“) ძროხას მეტ ფურჩეს აჭმევენ (ხ.ს. I, 84,772).

მე-ნავ-ე „მენავე“: ნავს ვარა ვეგედოხოდავა დო,ქოგედოხოლიადა, მენავეს ქუდუჯერია „ნავზე არ დაჯდო და ,თუ დაჯდები, მენავეს დაუჯერეო“(ხ.ს. I, 84, 770).

მე-ჯინიბ-ე „მეჯინიბე“: პატონი ცხენც ირზენდუა დო მეჯინიბე ივარანდუა, „პატონი ცხენს იძლეოდაო და მეჯინიბე უარს ამბობდაო“ (ხ.ს. I, 115,1073).

მე-ქობალ-ე „მეპურე“: ქობალი მექობალეს დაჭვაფე დო ქირა მეტი ქიმეჩია „პური მეპურეს გამოაცხოზინე და ქირა მეტი მიეციო“ (ხ.ს. I, 143,1365).

მე-წულ-ე „მეწულე“: ჭკადუს არგუნი ვაულუდუ, ნეწულეს-ჩაფლავა. „მჭედელს ნაჯახი არ ჰქონდა, მეწულეს ქალამანიო“ (ხ.ს.I, 177,1730).

მე-ტყალ-ე „მეტყევე“: მეტყალექ კითხვ „მეტყევემ კითხა(ყიფშიძე,241,16.).

მე-ბაღ-ე || მე-ბაღ-ე „მებაღე“: მებაღექე უწუა „მებაღემ უთხრა“ (ყიფშიძე, 274, 10).

მე-ღეჯ-ე „მეღორე“: მეღეჯე ბოშიქ უწუა „მეღორე ბიჭმა უთხრა“ (ყიფშიძე,225,23).

მე-წამალ-ე „მეწამლე“: მიდააჩქე მუში სქუალეფი მეწამალეშა „გაგზავნა თავისი შვილები მეწამლესთან“ (დანელია,228,31).

მე-ჩხომ-ე „მეთევზე“: მეჩხომე , ჩხომი,წყარუ დო ბადე „მეთევზე,თევზი,წყალი და ბადე“ (ყიფშიძე,387,23).

## TÜRK-GÜRCÜ KÜLTÜREL İLİŞKİLERİ

**მო-ე:** მო-რაგად-ე „მთქმელი“: მორაგადე დოღურუნ დო ნარაგად დღას ვა ღურუ „მთმელი მოკვდება ნათქვამი კი-არა“ (ხ.ს. I,95,874).

**მო-ჩივარ-ე** „მომჩივანი“, **მო-პასუხ-ე** „მოპასუხე“: დადიას მოჩივარე არმა მართალი უჩქუდუ მოპასუხეში უმუშო „მოპასუხის გარეშე დადიანს ყველა მომჩივანი მართალი ეგონაო“ (ხ.ს. I, 34,255).

**მო-ქეიფ-ე** „მოქეიფე“: ტანსაშვალი, მოჭკირუა, მოქეიფე დო ხერიანი „საშუალო ტანის, მოჭრილი, მოქეიფე და ხერიანი“ (ყიფშიძე, 361,26).

**მო-ლერს-ე** „მოლერსე“: დადიას ცუნდუ მოლერსე კოჩი „დადიანს ყავდა მოლერსე კაცი“ (ყიფშიძე, 364,10).

**მო-შარ-ე** „მეგზური“: ათენერ ხერხით დუღორებუნა მოშარეეფი „ასეთი ხერხით მოუტყებიათ მეგზურები“ (ყიფშიძე, 247,17).

**მო-სამართ-ე** „მოსამართლე“: თიმწკმა მოსამართეთ ქოდობდოხოდქია „მაშინ მოსამართლედ დავჯდებიო“ (ყიფშიძე, 247,17).

**მო-ზესხ-ე** „მოსისხლე“: გულადი დო უშიშარი მოზესხე დო მტერიანი „გულადი და უშიშარი მოდიდხლე და მტრიანი“ (ყიფშიძე, 361,26).

**მო-ჯგირ-ე** „მოკეთე“: ნათესე დო მოჯგირეფი უცორდ მუში დუდიშორო „ნათესავები და მოკეთეები თავის თავივით უყვარდა“ (ყიფშიძე, 361,28).

**მო-ინალ-ე** „მოსამსახურე“: ხენწგეფში ძღაბი მონალეთ ქიგიორინუეს „ხელმწიფის ქალიშვილი მოსამსახურედ დაუყენეს“ (დანელია, 262,11).

ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში **მე-ურ** და **მე-ოლ** აფიქსები აწარმოებენ თითო-ოროლა სახელს, მაგ.: **მე-ჩხომურ-ი** „მეთევზე“, **მე-ხატ-ურ-ი** „მეხატე“, **მე-სქიბ-ოლ-ი** „მეწისქვილე“, **მე-კუბ-ოლ-ი** „მეკუბოე“.

**ლაზური:** **მე-ე:** მე-თუთუნეფ-ე „მეთამბაქოები“: მეთუთუნეფე იჩალიშეფტეს-ენტეფეს უჩქინა „მეთამბაქოები მუშაობდნენ იმათ იციან“ (ასათიანი, 210,20).

**მე-ქარმატ-ე** „მეწისქვილე“: მექარმატეში ბერე „მეწისქვილის შვილი“ (ჯღენტა, 195,2)

**მე-ჩხომ-ე** „მეთევზე“: მენჩხომე ონჯირეს ვა ღურენ „მეთევზე საქოლში არ კვდება“ (ხ.ს, I, 231,407).

**მე-ზოდ-ე** „მეზღვაური“: მეზოდეში ოხორჯა-შირა ფარა სო ძირას „მეზღვაურის ცოლი-ქვრივი, ფული სად ნახოს?“ (ხ.ს, I, 229,385).

**მე-დულა-ე** „მესაქმე“: მედულიექ თურჯაიას ქღურქი გამოწკუდა „მოსაქმემ ვაჭარს ქურქი გახადაო“ (ხ.ს, I, 229,385).

მა- --- -ე: მა- ბუტკუჯ-ე ,, მეფუტკრე , მა-ნჯალ-ე ,, ხეზე მოსიარულე: მეშეშე", მა-ქუდ-ე ,,მექუდე", მა-ბგარ-ე ,,მომტირალი", მა-ჩხომ-ე ,,მეთევზე", მა-ლულ-ე ,,მელელვე (ჩიტი)", მა-წიფურ-ე ეტ. ,,მეწიფლე >ციყვი", მა-ფშალ-ე ,,იადონი"<ეტ. ,,მესვიე",მა-წიწილ-ე ,, მეგველე", მა-ჯუმალ-ე ,,მომმე,ძუძუმტე"

იგივე წარმოება გვაქვს ფრინველებისა და მცენარეების აღმნიშვნელ სახელებშიც: მეგრულშიც და ლაზურშიც. მაგ. მეგრ. მებჟალიე ,, ბოტ. რძიანა",მელულდე ,,ხოლო. მელელდე , -ჩიტია ერთგვარი,რომლის გამოჩენას ემთხვევა ლელვის დამწიფება". ლაზ.მანჭირე ,, მეანწლე", მაბუტუჯე ,,მეფუტკრე", მაბუზალე ,,პატარა ჩიტი, (მებუზე),მანწიფურე,, ციყვი(მეწიფლია)(ქირია,ეზუგბაია,მემიშიში,ჩუხუა :177-178)

მა- -- -ერ: მაქარმატერი ბერე ,, მეწისქვილე ბავშვი"

მა- --- ურ: მა-ქუდ-ურ-ე/ მა-ქუდ ულ-ე ,,მხურავი"

მა- --- ალ-ე: მა- ჩხომ-ალ-ე ,,მეთევზე", მა-ბუძ-ალ-ე ,,მეძუმური". მეგრ. მა-პიჯ-ალ-ე ,,პირობის მიმყოლი"< ეტ. ,,მეპირობე" მეგრულის ეს ერთადერთი ნიმუში ,ლაზურისებური წარმოებისაა, მეტად ღირებულია ორივე ენობრივი ერთეულისთვის, ვინაიდან აქ ნათლად ჩანს -ალ-ე დაბოლოების გენეზისი,კერძოდ,ის მასდარულ -ალ-ა რთული შედგენილობის სუფიქსს ასახავს,ანუ სავარაუდოა,რომ მსგავს შემთხვევებში ლაზურ-მეგრული მა- --- ე დერივაცია ეყრდნობა -ალ მასდარიან ყალიბებს.(ქირია,ეზუგბაია,მემიშიში,ჩუხუა: 178-179)

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, ერთი მხრით, ფუძისეულ ხმოვანთა, მეორე მხრით, ბრუნვის მორფემათა მრავლობითობის -ებ სუფიქსის ურთიერთგავლენა: როდესაც სახელის ფუძე ბოლოვდება ხმოვნით და მას მოსდევს ბრუნვისნიშნისეული ხმოვანი ან მრავლობითობის -ებ სუფიქსი, როგორც წესი, ან სახელის ფუძე იკვეცება, ან ბრუნვისნიშნისეული ხმოვანი იცვლება თანხმოვნად; რომელიც შემდეგ სრულიად ქრება ფორმიდან.

ძმის > ძმის, ხეის > ხის (უთურგაიძე,1976,22).

თუ სახელის ფუძე ა ხმოვანზე ბოლოვდება, ხელობის სახელების წარმოებისას,ფუძისეული ხმოვანი მოიკვეცება, რადგანაც ხმოვანთა უშუალო მეზობლობა ზანური ენისთვის არაბუნებრივია. მაგ.: გოლა || გვალა ,,მთა" > მე-გვალ-ე> მე-გოლ-ე, წულა ,,ქალამანი" > მე-წულ-ე,ჩაფულა ,,ქალამანი" > მე-ჩაფულ-ე.

არსებობს ხმოვანთა მოშლის მეორე გზა, როდესაც დეტერმინანტი თანხმოვანი აღდგება ხმოვანთა გამყარად. მაგ.: მე-თხა-ლ-ე ,,თხების მწყემსი", მე-

ბჟა-ლ-ე „მერძევე“, მე-სქა-ლ-ე „მეფუტკრე“.ლაზ.მა-ნჯალ-ე „ შეშის მზიდავი“, მა-გზა-ლ-ე „მგზავრი“

ო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთაგან მრალობითის წარმოებისას შეინიშნება ფონეტიკური პროცესი ოე-უე: ბორო „სულელი“ - ბოროეფი || ბორუეფი „სულელები“, კოტო „ქოთანი“-კოტოეფი || კოტუეფი „ქოთნები“, ღორჯო-ღორჯოეფი || ღორჯუეფი „ღორჯოები“ (ჯანჯღავა,1996,199).

ანალოგიური პროცესები დასტურდება ო ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ხელობის სახელთა წარმოებისას. მაგ.: კოტო „ქოთანი“ > \*მე-კოტო-ე > მე-კოტუ-ე, რაც აიხსნება, როგორც ერთხმოვნობისკენ გარდამავალი საფეხური (მიდიგური, 1946,28-29, 32-33; უთურგაიძე,1976,33). ასევე ამ ტიპის სახელთა წარმოებისას დავადასტურეთ იდენტურ ხმოვანთა შერწყმა: სქიბუ „წისქვილის ქვა“ > \*მე-სქიბუ-ოლ-ი > \*მე-სქიბო-ოლ-ი > მე-სქიბ-ოლ-ი || მე-სქიბ-ე „მეწისქვილე“.

მეგრულ-ლაზურში მოქმედი სიტყვაწარმოებითი მოდელი და განხილული მორფოლოგიური ცვლილებები სალიტერატურო ქართულთან მიმართებით არსებით სხვაობას არ გვჩვენებს. ძირითადად ისეთივე შინაარსის სახელებია, როგორც გავრცელებულია ქართულში; წარმომქმნელი ელემენტებიც საერთოა როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით.ზოგჯერ შესატყვისობებთან გვაქვს საქმე,ზოგჯერ კი სამწერლობო ქართულის ფორმები საზიაროა, რადგან ისინი ქართველურ ენათა წარმომადგენლების საერთო ძალისხმევითაა შექმნილი ისტორიულად.

#### გამოყენებულია ლიტერატურა

- უთურგაიძე 1976 - თ.უთურგაიძე,ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი 1986
- უთურგაიძე 2002 - თ.უთურგაიძე, მორფოლოგიურ პროცესთა მიმართულებისა და შედეგისათვის, ბათუმის შ. რუსთაველის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ.აბაშიძის სახ. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული II,2002
- შანიძე 1973 - ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1973
- ჩიქობავა 1942 - არნ. ჩიქობავა , სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი 1942
- ფოჩხუა 1966 - ბ.ფოჩხუა,სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია,თბილისი,1966
- ტუსკია 2004 - მ.ტუსკია,სახელთა აფიქსური წარმოებაახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი 2004

Doç. Dr. Asmat ŞONİA

Megrelce ve Lazca'da Zanaat ve Meslek Adlarının Türetilmesi

ქირია,ეზუგზაია,მემიშიში,ჩუხუა 2015 - ჭ.ქირია, ლ.ეზუგზაია, ო.მემიშიში,მ.ჩუხუა,

ლაზურ- მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია,თბილისი 2015

ასათიანი 1974 - ი.ასათიანი,ჭანური(ლაზური) ტექსტები, თბილისი,1974

ხალხური სიბრძნე 1994 - ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური  
ანდაზები,შემდგენლები: რ.შეროზია,ო. მემიშიში, თბილისი,1994

ყიფშიძე 1994 - ი.ყიფშიძე, თხზულებანი (ლექსიკონი), თბილისი, 1997

დანელია 1991 - კ.დანელია, აპ. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება,მეგრული  
ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ., II,თბილისი, 1991.



## TÜRK-GÜRCÜ KÜLTÜREL İLİŞKİLERİ



Araştırma  
konuşma sıra  
inceler. V.V.N.  
dilin tek bir y  
dizilerinin ve  
olarak nitelen  
değişen eğilin  
işlevsel denir.

Günümü  
Tarihi süreç iç  
yapılarının sist  
özel işlevsel  
amaçlara ve he  
birbirlerine ba

İşlevsel s  
"Dilin her tür  
arasındaki far  
119].

Günümü  
yazışma, günlü

Bilindiği  
Kelimenin stil  
kullanıldığı öne

\* Düzce Üniversitesi